ლიგაში არაა არც რაქი და არც მოლი. ამით ბურთი სულ ჩანს და თუ შნო გაქვს, იგი წინ მარტომ უნდა წაიღო. აღარც მიწაზე წაქცეული იწიხლება და არც მსაჯს უწევს იმის მეყსეულად განსჯა, გაუშვა თუ არა შებოჭილმა ბურთს ხელი, ხოლო მბოჭავმა თავის მხრივ შებოჭილს, ბურთზე თამაშამდე წამოდგა თუ არა მბოჭავი, სხვები ბრძოლაში ჭიშკრიდან ჩაებნენ თუ არა და ასე შემდგომ.

მოკლედ, გვრჩება ღია, გაშლილი ბურთაობა და ამის საწინააღმდეგოდ – ბოჭვა. ბოჭვის შემდეგ თამაში ახლდება ბურთის გამოგორებით, რაც ლიგას ყველა სხვა თამაშისგან განასხვავებს

## ექვსი ბოჭვა

ბოჭვაში ერთ ბურთიანს ორი–სამი მეტოქე ეჭიდება და ცდილობს, ზურგზე დასცეს, ან არა და გააკავოს. ამ პროცესს მსაჯი მეთვალყურეობს და როცა ბოჭვას დასრულებულად ჩათვლის, შემტევ გუნდს ხმამაღლა დაუძახებს, უკვე ამდენი (ერთი, ორი, სამი,..) ბოჭვაა, რაც ბურთი გაქვთო

რაგბისგან განსხვავებით, გუნდის მიერ ბურთის ფლობა „ექვსი ბოჭვის“ წესითაა შეზღუდული. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ შემტევი ზედიზედ ექვსი იერიშის შემდეგ ლელოს ან გოლს ვერ გაიტანს, ბურთს მსაჯის მითითებით მეტოქე გადაიბარებს (აქ იერიში ჰქვია თამაშს ერთი ბოჭვიდან მეორემდე)

ბოჭვა ოთხნაირია:

(1) კაცს იჭერენ და ამ დროს ბურთი ან ბურთიანი ხელი მიწას ეხება

(2) დგომელა გაკავებული წინ ველარ მიდის და ვერც ბურთს იშორებს

(3) დაჭერილი ბურთს მიწაზე დადებს (ამას დანებება ჰქვია)

(4) ბურთიან წაქცეულს მეტოქე ხელს დაადებს

აკრძალულია ბურთიანად განგებ წაწოლა, ან ბურთიანად წოლა და ლოდინი, ემანდ როდის დამადებენ ხელსო

აკრძალულია ზეზეულად შებოჭილის დაძვრა (მოლის გამართვა)

თუ მბოჭავი ერთზე მეტია, ამათ ბურთის წართმევა ეკრძალებათ

## ბურთის გამოგორება

მსაჯის შეძახილზე მბოჭავები უნდა მოეშვან ბურთიანს და ბურთის გამოგორებამდე მას ხელი აღარ ახლონ

მერე შებოჭილი წამოდგება, ბურთს მიწიდან აიღებს, მეტოქის ლელოსკენ შებრუნდება, ბურთს ძირს დადებს და ფეხისგულით უკან გაუგორებს თანაგუნდელ მიმღებს (ეს ერთია!)

ამ დროს გამგორებელს წინ ორი მეტოქე უდგას (წესით, ერთ რიგად), მაგრამ ამ ყარაულებს ბურთზე თამაში ეკრძალებათ





გამოგორების დროს სხვა მოიერიშეები მიმღებზე უკან დგებიან, დამცველი გუნდი კი, ორი ყარაულის გამოკლებით, ათი მეტრით უკან, მსაჯამდე იხევს

თუ გამომგორებელს მიმღები უკან არ დაუდგა, ყარაულს გაგორებულ ბურთზე იქეთ დახტომა შეუძლია. თუ შებოჭილს ყარაული არ დაუდგა, კაცს შეუძლია ბურთი უკან გააგოროს და მერე თავად აიღოს

მიმღები ან თავად უტევს, ანაც პასს აკეთებს. დაცვის თანამედროვე მეთოდით, ყარაულებს მიმღების მეთვალყურეობა ევალებათ. ერთი ამ მხარეს აკონტროლებს, მეორე იმას

წესით, გამოგორება ჩქარა უნდა შესრულდეს, მაგრამ მსაჯი მარტო მაშინ აჯარიმებს დამცველებს, თუ ესენი წამომდგარ კაცზე ან ბურთზე ითამაშებენ. ჯარიმაა ათი მეტრის წესის დარღვევაც. მეორე მხრივ, თუ შემტევი გამოგორების უმარტივეს წესს დაარღვევს, თავად დაჯარიმდება

## ბურთის გადაბარება

ხუთი ბოჭვის შემდეგ შემტევი არჩევანის წინაშე დგება: ან ლელოს იმედად ხელით თამაში უნდა გააგრძელოს და ანაც ბურთს ფეხი დაარტყას

თუ შემტევი გუნდი მეექვსედაც შებოჭეს, ან ბურთი წინ გაუვარდა, ან წინ პასი გააკეთა, ანაც ბურთი პირდაპირ (მიწაზე დაუცემლად) დაარტყა აუტში, მსაჯი დაუსტვენს და ბურთს მეტოქეს გადაცემს

ამის შემდეგ მეტოქე თამაშს გამოგორებით განაახლებს. ეს გამოგორება ექვსში არ ითვლება

მეტიც, თუ გუნდს ბურთი წინ გაუვარდა ან წინ პასი გააკეთა და მეტოქემ მსაჯის ჩაურევლად იხელთა ბურთი, პირველი ბოჭვა ნულოვანია (ექვსში არ ითვლება) მაშინაც კი, თუ გუნდმა წინ ბლომად წაიწია

ბოჭვათა თავიდან (ნულიდან) ათვლა იწყება ჯარიმის ან შერკინების დანიშვნის შემდეგ და კიდევ მაშინ, როცა მეტოქემ ბურთზე განზრახ ითამაშა (ბოჭვის დროს ხელიდან გაგდებინების მცდელობის გარდა)

## ფეხით თამაში

ლიგაში ფეხით თამაში რაგბზე იშვიათია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი. ფეხით ძირითადად მეხუთე ბოჭვის შემდეგ თამაშობენ. დარტყმას უმეტესწილად 6 ნომერი ასრულებს

თუ ფრეა ან(და) ტაიმი მთავრდება, იგი კარში არეკნს ურტყამს

თუ გუნდი ლელოს ეშურება, მაშინ დამრტყმელი ფრთაზე ან კართან აწევს აბრაგანს, და ანაც გუნდელს ბურთს ლელოში შეუცურებს

თუ გუნდი თავის ნახევარზეა და თამაში უბრალოდ მეტოქის ზურგში აქვს გადასატანი, რათა ამან თავისი ექვსი შეტევა ცუდი ადგილიდან დაიწყოს, ურტყამენ კუთხეში



19-25/12/2004





აქ ისაა სათქმელი, რომ რაგბის „22“ ლიგაში არ იციან, ანუ თუ მან–ძილის მოგება გინდა, ბურთი მოედანს უსიკვდილოდ უნდა გაარტყა, თორემ მსაჯი შერკინებას იქ დანიშნავს, საიდანაც დაარტყი

მუღამიანი სიახლეა „40–დან 20–ში“. თუ შენი 40 მეტრა, წითელი ხაზიდან ბურთს იმათი 20 მეტრა ხაზის გადაღმად მიწას გაარტყამ და აუტს გააკეთებ, შერკინება მეტოქის ზურგში შენია, ესე იგი ექვსი შე–ტევა ურიგოდ გერგება!

## ზოგი სხვა წესიც

დამრტყმელი ასევე იხეირებს (ანუ შერკინება ერგება), თუ დაწყები–დან გაურტყამს მიწაზე ბურთს მეტოქეს და აუტს გაუკეთებს

დაწყება ლიგაში სამნაირია:

(1) ცენტრიდან, რაგბისგან განსხვავებით, ბურთი ჯერაც მიწიდან (ან სადგამიდან) ირტყმება

(2) 20 მეტრიდან დამცველი მაშინ აახლებს თამაშს, თუ ლელოდან გადასვლის წინ ბურთს შემტევი შეეხო (მნიშვნელობა არა აქვს, ლე–ლოში ბურთი ვისგან მოხვდა!), შემტევს ლელოში წინ გაუვარდა ბურთი და ან დამცველმა აზრაგანი დაიჭირა („ალალი“ მარტო აქ მოქმედებს!)

(3) თავისი კარიდან დამცველი (აუცილებლად არეკნით!) მაშინ აახლებს თამაშს, თუ ბურთი ლელოში იყო და მისგან გადავიდა, ბურთი ლელოში თავად დაამიწა, იქ თავად შებოჭეს ან ბურთი წინ გაუვარდა და სხვა

დაწყების წესის დარღვევისთვის სასჯელი ჯარიმაა! ამით ლიგა ძაან განსხვავდება რაგბისგან. მეორე მხრივ, შერკინებაში რაც გინდა დააშა–ვო (ურჯუკობისა და გინების გარდა), ინიშნება მხოლოდ „განსხვავებუ–ლი ჯარიმა“, ანუ ამის კარში დარტყმა არ შეიძლება

ჯარიმის კარში დარტყმისა და გათამაშების გარდა, შეიძლება ბურ–თის კიდეზე (აუტში) გადატანაც. ამის შემდეგ გუნდი ექვს შეტევას იწყებს იქიდან, სადამდეც ბურთი მიაწვდინა. ჩვეულებრივ ჰუკერი დადგება 10 მეტრა შტრიხზე და ბურთს გაათამაშებს

მოედანზე გავლებულია 20 მეტრა შტრიხებიც. ახალი წესით, შერკი–ნება ამათზე გარეთ არ დგება (რათა გუნდს შესატევად ორივე ფრთა ჰქონდეს)

შერკინებაში ექვს კაცზე მეტი არ უნდა ჩადგეს. ბეკი შვიდზე მეტი არ უნდა იყოს. ვიდრე ბურთი შერკინებაშია, ბეკებმა ხუთ–მეტრა დისტან–ცია უნდა დაიცვან. ბურთს შერკინებაში მოკლე ფრთიდან აგდებს 7 ნო–მერი, მისი მეტოქე კი თავიდანვე ბოლო კაცზე (13 ნომერი) უკან დგება

## ბოლოთქმა

ბოლო ათი წელია, რაგბი აჩქარებულად იმეორებს ლიგის მიერ გავლილ გზას, რამაც მავან ენამწარე ექსპერტს ათქმევინა, თანამედროვე ზეპური რაგბი იგივე ლიგაა, ოღონდ დაცვის ხაზი 10 მეტრის მაგივრად სამ მეტრშია გამწკრივებული, შემტევს კი ექვსი იერიშის ნაცვლად უსასრულოდ შეუძლია მეტოქის მწყობრში ბზარის ძებნაო



თუ მოედანი მოკლეა (ფეხბურთის გადამკიდე), მაშინ კომპენსაცია ხდება 30 და 40 მეტრა ხაზებს შორის (ესენი ახლო ახლო ივლება)

ბურთი იგივეა, რაც რაგბში. 2000 წელს გილბერტმა სცადა ნოვატო–რული, 8–ნაჭრიანი გარსი. ახალი ნაწარმი შორს მიფრინავდა

გუნდში 13 დამწყები და 4 სათადარიგოა. ნებადართულია 12 შეცვლა. ამათში არ ითვლება სისხლზე შეცვლები. პაუზა და სიმულაცია თით–ქმის არაა და ტემპი არ ეცემა. დაღლილს ღიად, კანონიერად ასვენებენ და არა რაგბულად, თავის მოსაწყლებით. კარში დასარტყმელად შე–ცვლაზე ვერ შეხვალ!

ნუმერაცია ძველებურია. რაგბმა იგი 50 წლის წინ უარყო, მაგრამ გუნდს დღემდე მაინც ლიგურად ჩამოთვლის ხოლმე. ლიგურად 1–7 ბეკები არიან, 8–13 ფორვარდები. ჩვენს დროში უნივერსალიზაციის გამო ნომ–რები ცოტათი სიმბოლურია

ამპლუაში გაირჩევა ფულბეკი (ბურთის გამომქცუნებელ–ამომტანი), ოთხი ბეკი (ხაზი), ერთი პივოტი (ფეხს ვინც ურტყამს), ორი მიმღები (ჰუკერი და ჰავბეკი), ორი წონიანი (ბურჯები) და სამიც უფრო მოძრავი ფორვარდი (მეორე და მესამე ხაზები)

ესე იგი გუნდის წყობა ესეთია: 1 + 4 + 1 + 2 + 2 + 3

ლელო 4 ქულა ღირს, გოლი (გარდასახვა და ჯარიმა) 2 ქულა, ფილდ გოლი (არეკნი) 1 ქულა. საზიარო დამიწება ლელოა. კარის ხაზი ლე–ლოა, ძელის ძირი კი არა! გარდასახვის დროს დამრტყმელზე თავდასხმა აკრძალულია. არეკნი ითვლება მაშინაც, თუ ბურთი მეტოქეს შეეხო

40 წუთის შემდეგ ტაიმი მთავრდება ბოჭვაზე, მაგრამ გრძელდება ჯარიმაზე. სინბინი (ყვითელი ბარათი) აქაც 10 წუთია. ფრეზე ბოლო ხანს მოდაში შემოვიდა ოქროს ქულამდე თამაში

## ჯგუფად არაფერი!

თანამედროვე ლიგა 100 წლის მანძილზე გაშალაშინებული რაგბია

ლიგის მიზანი თავიდანვე თვალსასეირო შოუს მოწყობა იყო: მუშა მობურთალებს ჯამაგირი რომ ჰქონოდათ, მაყურებელი უნდა მიეზიდათ!

ამიტომ წესები თანდათან ისე შეიცვალა, რომ ჩვენს დროში ბურ–თისთვის ჯგუფად ბრძოლაზე ჯანი სულ აღარ იხარჯება და მთელი ენერგია ბურთაობასა და ბოჭვას ხმარდება

მივყვეთ მეთოდურად: რაკი ბოჭვის შემდეგ ბურთი ისედაც უნარჩუნ–დება შემტევ გუნდს (ამაზე ქვემოთ), აუტში მალიმალ დარტყმა უაზრო–ბაა. ამის გამო ლიგაში აუტი იშვიათია და მის დროსაც დერეფანი კი არა, შერკინება ეწყობა

ჩვენს დროში შერკინებაში მიწოლა ქაჯობად ითვლება, ბურთი კი შემგორებლისაა. ამით კისერი აღარავის ტყდება, სუსტ გუნდს შერკინე–ბის ჩაქცევით დრო ვეღარ გაყავს, მსაჯი აღარ მარჩიელობს იმაზე, თუ რომელი პირველი ხაზი დააჯარიმოს და აღარც მაყურებელი წუხს იმის გამო, რომ თამაში ერთ ადგილზეა გაჭედილი





## ვაჟკაცური და მარტივი

რაგბის წესები 180 გვერდიანია, ლიგისა – მხოლოდ 50

ლიგა მშრომელი ხალხის, მუშური თამაშია. იოლად გასაგები, გემრი–ელად საყურებელი და ლაღად საბურთაო, ოღონდ ძაან ხისტი. წესებიც ეგეთი პირდაპირი, ვაჟკაცური და მარტივი აქვს

ლიგის წესები ძაან თანამედროვე და ლოგიკურია. კოდექსი XIX სა–უკუნის გადმონაშთებსა და ვირეშმაკობებს არ შეიცავს. ლიგელები წე–სებს თავიდანვე თამამად ცვლიდნენ. რაგბმა ლიგიდან ბევრი რამ გადა–იღო, ოღონდ ძაან დაგვიანებით (22–ის წესი, ჯარიმის კიდეზე (აუტში) დარტყმა, სისხლზე გამოცვლა, ათი წუთით გაგდება, ვიდეო რეფერი, მოედანზე მანძილის წაწერა)

ცალკე თემაა თამაშის ხერხებისა და ტაქტიკის შეთვისება: ხაზად დაცვა; ცენტრული შეტევა ორი ფრთით; ზედიზედ ჯიქური მიძალებით ჩათრევა; აგრესიული, შემტევი ბოჭვა; ბოჭვისას ცალი ხელით ბურთის გაგდებინება; პასი კონტაქტში; აზრაგანი (ბუმბასი) და ჰაერში თამაში, ხაზის ზურგს უკან შეცურება და ბურთის აქეთა ფრთაზე გადმოკიდება

ლიგის მსაჯი ჩრდილში დგას და სტვენით არ აყრუებს არე–მარეს. მსაჯს წესების წიგნში მხოლოდ ბოლო ორი თავი ეთმობა. ლიგაში ჯა–რიმები იშვიათობაა. მატჩის ბედს წყვეტს ლელოები და არა სათუო ჯარიმებიდან გატანილი გოლები. ლიგაში მეტოქენი ლამის უმსაჯოდ თამაშობენ. ლიგის შედეგზე უკეთური მსაჯის გავლენა მინიმალურია

## რაგბთან საერთო

დიდი მოედანი; ოვალური ბურთი; 80 წუთიანი მატჩი

თამაში ხელითაც და ფეხითაც

მიზანი: ლელოსა და გოლის გატანა

უბურთო კაცის შებოჭვა აკრძალულია

წინ პასი და ბურთის წინ გავარდნა დარღვევაა

სტანდარტულ სიტუაციაში უნდა გაეცალო მეტოქეთა გამყოფ ზოლს

## მოედანი, გუნდი, დრო და ქულა

მოედანი და ორი ლელო. სიგანედ 68 მეტრი (75 იარდი) არსებითია. ლელო მოკლეა (ფეხბურთის გამოც). თან იქ ბურთს შეიცურებენ ხოლმე

ასპარეზზე 14 ალმის ნაცვლად მხოლოდ ოთხი კუთხის სარი არჭია

კარის სიმაღლე დადგენილია და 16 მეტრია

მოედანი ამერიკულად დალიანდაგებულია. ეს მსაჯს ბოჭვაზე 10 მეტ–რის გადაზომვაში ეხმარება. ბობოლა ლიგებში ხაზებს ლელომდე გა–სავლელი მანძილი აწერია (ტელევიზიის მოთხოვნაა!)





## სწორად როგორ გამოვაგოროთ ბურთი

ბურთის გამოგორება ლიგის უნიკალური ილეთია. იგი 13-კაცა თამაშს ყველა სხვა ბურთაობაში გამოარჩევს. გამოგორებით თამაში ბოჭვის შემდეგ ახლდება. იგი ერთი შეხედვით იოლია, მაგრამ მისი შესრულებისას მოთამაშეებს წუნი მაინც საკმაოდ მოსდით.




ბოჭვის დროს ეცადე, რომ იდაყვზე ან მუხლებზე დაეცე. ამით უფრო მალე წა–მოდგები.




ბურთზე ისე დაიხარე, რომ სიმყარისთვის ცალი მუხლით მიწას დაებჯინო. ბურთი მიწაზე განივად, ძლიერი ხელით, სა–ყრდენი ფეხის გაყოლებაზე დადე.




ტერფი ბურთს ზემოდან დაადე და ოვალი შენს უკან მდგომ მიმღებს მარდად გაუგორე.




შენგან ბურთის გაგორების შემდეგ პასი ან შეტევა მიმღების საქმეა, მაგრამ თავს ვალმოხდილად მაინც ნუ ჩათვლი: მყის მიეხმარე შენს გუნდელებს!

ლიგა 1895 წელს განუდგა დედა თამაშს, 1897 წელს გაა–უქმა დერეფანი, 1907 წელს გახდა 13-კაცა და გამოგორება შემოიღო, 1922 წელს კი ლიგა დაირქვა. ექვსი ბოჭვა 1972 წელს შემოვიდა. ქართული რაგბილიგა 2004 წელს დაარსდა.